საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

ეროვნული კომისიის

დადგენილება №27
2014 წლის 31 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვადგენთ:**

მუხლი 1
,,ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების (სსმ III, 22.09. 2008, №140, მუხ.1385) დანართი №4 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №4

„0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის

გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური

1. 0,220 კვ, 0,380 კვ და 6/10 კვ ძაბვის ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური შეთავაზებული პაკეტის მიხედვით:

ა) ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) უზრუნველყოფის (ელექტროენერგიით მომარაგების განსაზღვრულ ვადაში დაწყების) შემთხვევაში:

ძაბვის საფეხური, კვ	სიმძლავრე, კვტ	ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა (სამუშაო დღე)	ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური დღგ-ს ჩათვლით, ლარი
0.220	1-10	35	400
	1-10	35	1200
	11-30	40	4700
	31-50	40	7000

0.380	51-80	45	10500
	81-100	45	12000
	101-125	45	14000
	126-200	45	21500
	201-320	60	33000
	321-500	60	50500
	501-800	90	80000
	801-1000	90	100000
6.-10	1-500	60	48500
	501-1000	90	94000
	1001-1500	90	137000
	1501-2000	90	177000
	2001-3000	90	257500
	3001-5000	90	416000

ბ. ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) დაუსრულებლობის (ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის) შემთხვევაში ახალი მოხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მოცემული მიერთების საფასურის 50 %–ს (შეთავაზებული პაკეტების მიხედვით).

2. როდესაც განაწილების ლიცენზიატის მიერ განაცხადით მოთხოვნილი მიერთებისათვის საჭირო ქსელის გაყვანა (მშენებლობა) არ საჭიროებს რაიმე სახის თანხმობის ან ნებართვის მიღებას, ასეთ შემთხვევაში ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა განისაზღვრება 0,220 და 0,380კვ. ძაბვაზე - 20 დღე, ხოლო 6/10 ძაბვის საფეხურზე - 40 დღე (აღნიშნულის შესახებ მიერთების მსურველს (განმცხადებელს) უნდა ეცნობოს განაცხადის სრულყოფილების დადგენის შესახებ შეტყობინებასთან ერთად, განაცხადში მითითებული საშუალებით წერილობით ან ელექტრონულად).”

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერგეტიკისა და
წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე — **ირინა მილორავა**
კომისიის წევრი — **სერგო მესხი**
კომისიის წევრი — **გოჩა შონია**